



საქართველოს იურიდიული პირი  
სოციალური მომსახურების სააგენტო

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030470507592414

№ 04-76/ა

31 / მარტი / 2014 წ.

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმების მიღება-გაცემასთან დაკავშირებით ზოგიერთი ორგანიზაციული საკითხის მოწესრიგების თაობაზე

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმების მიღება-ჩაბარების, შენახვისა და მათი მოძრაობის ორგანიზების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 28 მარტის N04-71/ა ბრძანებით გათვალისწინებული ღონისძიებების რეალიზების მიზნით, მკაცრი აღრიცხვის ფორმების მიღება-გადაცემასთან დაკავშირებით გასაფორმებელი მიღება-ჩაბარების აქტებზე ხელმოწერის უფლება მიენიჭოთ:

ა) ლევან ბაიაჯანს – სააგენტოს გურიის რეგიონალური საკოორდინაციო ცენტრის უფროსის მოადგილეს;

ბ) რუსუდან მაქაცარიას – სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური საკოორდინაციო ცენტრის უფროსის მოადგილეს;

გ) ზურაბ მეტრეველს – ქვემო ქართლის რეგიონალური საკოორდინაციო ცენტრის უფროსის მოადგილეს;

დ) მალხაზ გოჩაშვილს – შიდა ქართლის რეგიონალური საკოორდინაციო ცენტრის უფროსის მოადგილეს;

ე) ლუიზა იოსელიანს – სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური საკოორდინაციო ცენტრის უფროსის მოადგილეს;

ვ) დავით მუსერიძეს – რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთის რეგიონალური საკოორდინაციო ცენტრის უფროსის მოადგილეს;

ზ) გიორგი ედილაშვილს – მცხეთა-მთიანეთის რეგიონალური საკოორდინაციო ცენტრის უფროსის მოადგილეს;

თ) კახაბერ ჩხარტიშვილს – იმერეთის რეგიონალური საკოორდინაციო ცენტრის შტატგარეშე თანამშრომელს;

ი) ედვარდ ბალათრიშვილს – კახეთის რეგიონალური საკოორდინაციო ცენტრის შტატგარეშე თანამშრომელს;

კ) ზაალ მიქელაძეს – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალის შტატგარეშე თანამშრომელს;

ლ) თეა ჩიხლაძეს – საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს შტატგარეშე თანამშრომელს;

მ) გოჩა ქვრივიშვილს – ლოჯისტიკის დეპარტამენტის სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარ სპეციალისტს.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირებს დაევალოთ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 28 მარტის N04-71/ო ბრძანებით დამტკიცებული ჟურნალების („შეუვსებელი საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმების გაცემის სპეციალური აღრიცხვის ჟურნალი“ და „გამოსაყენებლად უვარგისი საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმების დაბრუნების სპეციალური აღრიცხვის ჟურნალი“) შევსება.

3. სააგენტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალის და რეგიონალური საკოორდინაციო ცენტრების უფროსებს მიენიჭოთ უფლებამოსილება, საჭიროების გათვალისწინებით, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით – ბრძანებით, დამატებით გამოყონ მათ დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომელი (თანამშრომლები), რომელიც, ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირებთან ერთად, მონაწილეობას მიიღებს სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 28 მარტის N04-71/ო ბრძანებით დამტკიცებული ჟურნალების („შეუვსებელი საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმების გაცემის სპეციალური აღრიცხვის ჟურნალი“ და „გამოსაყენებლად უვარგისი საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე

მოსარგებლის თანხმობის ფორმების დაბრუნების სპეციალური აღრიცხვის ჟურნალი“) შევსების პროცესში.

#### 4. დაევალოთ:

ა) სააგენტოს ადმინისტრაციას (გ. გოგოლაძე), უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების გაგზავნა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტისათვის, რეგიონალური საკოორდინაციო ცენტრებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალისათვის, აგრეთვე, საჯარო გაცნობის მიზნით, სააგენტოს ვებ-გვერდზე ([www.ssa.gov.ge](http://www.ssa.gov.ge)) განთავსება;

ბ) სააგენტოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტს (რ. გოგოლაშვილი), ყველა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებების ინფორმირება, წინამდებარე ბრძანების გაცნობის მიზნით.

#### 5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ნოე ქინქლაძე

ნ. ქინქლაძე